სამშაბათი 17 აპრილი 1907 წ.

წელიწადი პირველი. — № 85

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დიდ 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დაბეჭდვაზე განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

**«ისარი»-ს დღევანდელ ნომერთან ერთად მისამდ რიგდება ამიერ-კავკასიის რკინის გზის განცხადება მგზავრების მიმოსვლის ახალ წესრიგის შესახებ 1907 წლის 18 აპრილიდან. ასეთივე განცხადება დარიგდება კვირის (15 აპრილი), სამშაბათის (17 აპრილი) და ოთხშაბათის (18 აპრილი) ნომრებთან. ვთხოვთ გაზეთის მკითხველებს, გაზეთთან ერთად განცხადებებიც მოითხოვონ გამყიდველებს.**

14 აპრილს ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეორე ვერის სამოქალაქო შკოლის გამგე

## ანნა მაიეს ასული ჩხეიძისა.

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ [illegible] დედა, მამა, ძმა და და. გამოსვენება (ოლღას ქუჩა სახლი [illegible]) სამშაბათს 17 აპრილს დილის 10 საათზე, ქვ. წმ. გიორგის ეკლესიაში, სიდანაც წირვის შემდეგ ცხედარს წაასვენებენ [illegible] სასაფლაოზე. (2—56—2)

**გიორგი, დიმიტრი და გიგა ქორქაძენი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ვერაგულად მოკლულ [illegible]

## დავით იოსების ძე შოთნიევი

გარდაცვალებულს გამოასვენებენ დღეს, დილით 9½ საათზე, მიხეილის საავადმყოფოდან და დაასაფლავებენ წმ. ნინოს [illegible] სასაფლაოზე.

**ელისაბედ პავლეს ასული, ანნა პეტრეს ასული და გიორგი ლევანის ძე კურტოშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ ქმრის, მეორე—მამამთილის და მესამე—მამის

## ლევან ივანეს ძის კურტოშვილისას.

გამოსვენება საკუთარ სახლიდან, ტფილისის ქუჩა, კათოლიკოსთა ეკლესიაში. 18 აპრილს დილის 9 საათზე. დაკრძალვა იმავე დღეს. (2—33—1)

---

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—32)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ 92)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**

**კანის და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ქ. ქუთაისში
**ბავშვების ექიმი ბადრიძე**

ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციაშვილისა. (25—ფ.—5)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე, ვერა, ოლღას ქუჩა, № 25. (0—84

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი
**კ. ი. გძელიშვილი**

იღებს **ყურის, ცხვირის** და **ყელის** ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწულოვისა. (25—12)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (34)

# სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
**ტფილისში**
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ აგაჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ავეტისოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. გიმონცი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**ბ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი

**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—53

კბილის ექიმი
**ი. ზ. კანდელაკი**

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ხალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, ახლო ამბულანსისა, № 26. (25—5.—28

**ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების** გამგეობა აცხადებს, რომ შაბათს აპრილის 28 ს, დილის 10 საათზედ შორაპნის მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში (სუდში) დანიშნულია წლიური მორიგი საზოგადო კრება. რადგან ეს კრება მეორედ ინიშნება, ამიტომ კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

**განსახილველი საგნები:**

1) მოხსენება ზარალის გამომკვლევ კომისიისა;

2) ანგარიშების განხილვა 1906 წ.;

3) განხილვა 1907 წლ. ხარჯთ-აღრიცხვისა;

4) სარევიზიო კომისიის წევრების მოხსენება;

5) არჩევა გამგეობის სამის წევრების ნაცვლად. იოსებ გუნცაძისა, თეოფილე ნანეიშვილისა და მიხეილ გაჩეჩილაძისა;

6) არჩევა საბჭოს ექვსი წევრისა, ნაცვლად ს. გაჩეჩილაძისა, ი. გაბუნიასი, ა. ბებიაშვილისა, ი. ცერცვაძისა და ი. მალლაკელიძისა;

7) არჩევა სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათის კანდიდატებისა;

8) მოხსენება საბჭოსი ი. მალლაკელიძის დაჯილდოვების შესახებ;

9) განხილვა სხვა და სხვა თხოვნებისა (3—6.—3)

**ქართველთა საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ**

## შემოწირულებას ფულად

მიიღებენ: გამგეობის თავმჯდომარე უგანათლ. კნ. თ. დ. გრუზინსკისა (სასტუმრო „ორიანტი“ 11—1 ს.), თავმჯდომარის ამხანაგი თავ. პ. ი. თუმანიშვილი (განოვის ქუჩა, საკ. სახლი 4—7 ს.) გამგეობის წევრნი: ვ. ი. რცხილაძე (საზ. „კახეთი“ ერევნის მოედანი 10—3 ს.), ა. გ. ჯაბადარი (წიგნ. გამ. ქართველთა ამხან. დიდი ვანქის ქუჩა 9—11 ს. 2½—4 ს.) გ. მ. ლასხიშვილი (რედ. „ისარი“ ელისაბედის ქუჩა სახ. მილოვისა 10—2 ს.), იაკ. ს. ღულაძე (ავლაბრის პროგიმნაზია 10—1 ს.), კნ. ელის. ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა (გუდოვიჩის ქუჩა № 11. 11—1 საათზე) შიო დედაბრიშვილი (ალექსანდრეს ქუჩა № 43 3—5 ს.)

**შემოწირულ ნივთებს მიიღებენ**

საზოგადოების კანტორაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-ზნაურთა სახლში 11—1 საათზე. (10—უ.—10)

**ახალი წიგნი**

დაიბეჭდა და საადგილოდ გადაეცემა „წ. კ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას გასასყიდად

**ახალი ისტორიული მონოგრაფია**

## ამბოხება კახეთისა 1812 წ.

ა. ფრონელისა.

ვინც მოისურვებს წიგნის შეძენას, უნდა მიმართოს „წ. კ. საზოგადოების“ მაღაზიას. იგი ფას დადებით გაუგზავნის როგორც ამ წიგნს, ისე „მთიულეთს 1804 წ.“ (10—უ.—1)

**ქუთაისის ვაჟთა**

## გიმნაზია

აცხადებს, რომ 1-ლ კლასში მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ კლასის მოსწავლეთათვის და გარეშე მსურველთათვის მოხდება ამა წლის 23, 24 და 26 მაისს, ხოლო იმათ გამოცდა, ვისაც სწავლაგანათლება შინ მიუღიათ და ვისაც სხვა და სხვა კლასის კურსზე სურთ დაიჭირონ ეგზამენი მოწმობის მისაღებად, მოხდება ამა წლის 1-ლ ივნის დან 15 ივნისამდე. თხოვნები ეგზამენის დაჭერის ნებართვის შესახებ დაწესებულ დოკუმენტებთან ერთად მიიღება 12 მაისამდე (12 მაისსაც) ის თხოვნები, რომელსაც დოკუმენტები არ ახლდება, განხილული არ იქნება. (3—6.—1)

**დასუსტებულ, ავადმყოფობისაგან განკურნებულ და კარგი ღვინის მოყვარულთა საყურადღებოდ.**

უკანასკნელ ხანებში ბევრი ჰყიდის ღვინოს „ყიფიანის ღვინის“ ხახელით. მოვალედ ვრაცხთ ჩვენ თავს, ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ ქუთაისში არსებობს ერთად-ერთი საწყობი ნამდვილ **„ყიფიანის ღვინისა“**, რომელიც ეკუთვნის ლუარსაბ ლუარსაბის ძე ყიფიანს. ყიფიანის ღვინო, რომელიც ს. ხვანჭკარაში მოდის, განსაკუთრებით კარგი თვისებისაა და იმის მსგავსი ღვინო რაჭაში არსად მოდის. ხვანჭკარელი მემამულენი თავადნი დიმიტრი, დათა და მანუჩარ ყიფიანები მთელს თავიანთ მოსავალს ჩვენს საწყობს აძლევენ და სხვაგან ერთ ბოთლსაც არა ჰყიდიან და ამიტომ თუ ვინმე ჰყიდის ღვინოს „ყიფიანის“ სახელით, იგი ხვანჭკარული არ არის. ლ. ლ. ყიფიანის ღვინო იყიდება დაბეჭდილი და წითელ ეტიკეტის ქვეშ აღნიშნულია ფირმის სახელი და წარწერა: „სოფელი ხვანჭკარა“. საწყობი მოთავსებულია ქუთაისის ქალაქის სახლში, ტფილისის ქუჩაზე და ქალაქის აფთიაქის მახლობლად. მსურველთ ღვინო ეგზავნებათ დაუყონებლივ. ჩვენი ღვინო ყურძნის წმინდა წვენისაა და ყოვლად უზადოა და თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ იგი ბუნებრივი არ არის, მზად ვართ გადავიხადოთ **ჯარიმა 2000 მანეთი**. პრეისკურანტს უფასოდ ვუგზავნით. (10—ყიფ.—5)

ტფილისის ქალაქის

## გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მისგან მდგომარე აპრილის 13 ს გამოცხადებული საბოლოვო საარჩევნო სიები ტფილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანთა ასარჩევად პირველ საარჩევნო ნაწილისთვის, უვარგისად არის ცნობილი, რადგან ამ სიებში შეცდომები აღმოჩნდა. ამის გამო არჩევნების ვადა ყველა საარჩევნო ნაწილისთვის ორის კვირით გადადებულია; პირველ საარჩევნო ნაწილის საბოლოო საარჩევნო სია გამოცხადებული იქნება 27 აპრილს, მეორისა—3 მაისს და მესამისა—10 მაისს 1907 წლისა. თანახმად ამ ვადებისა დარჩენილ გადასახადების (ნედოიმკების) შეტანა არჩევნებში მონაწილეობის უფლების აღსადგენად შეიძლება პირველ საარჩევნო ნაწილში 26 აპრილამდე, მეორეში—2 მაისამდე და მესამეში—9 მაისამდე 1907 წლისა. (1 6 —1)

## თელავში

საჭიროა გაზეთის გამყიდველი. იკითხეთ ვანო პაატაშვილთან. (3—3)

ტფილისის ქალაქის

## გამგეობა

სთხოვს სახლის პატრონებს, ტროტუარების გასამართავად მუშაობის დაწყების დროს უსათუოდ მიჰმართონ ქალაქის გამგეობას იმის გასაგებად, თუ რა მიმართულებისა, სიგანისა და სიმაღლისა უნდა იყოს ტროტუარი, რადგან სახლის პატრონები, გამგეობის მოხსენების ასრულების დროს, ხშირად არღვევენ სავალდებულო დადგენილებებს საამშენებლო ნაწილის შესახებ და ტროტუარების ხელ-ახლა გადაკეთება უხდებათ, რაც იწვევს ზედ-მეტ უნაყოფო ხარჯს. (6.—1)

**ამა** წლის 15 აპრილს ბათუმიდან მატარებლის დაძვრისას მესამე კლასში **დაიკარგა ხურჯინი საცვლებით და ხელის საკვოიაჟი** საბანში გახვეული. რადგან დოკუმენტები, უბის წიგნაკები და აგრეთვე სხვა ქაღალდები ჩემთვის ძალიან საჭიროა და მპოვნელს-კი არაფრად გამოადგება ამიტომ ვთხოვ, მპოვნელმა საცვლები და ნივთები დაიტოვოს თავის სასარგებლოდ, ხოლო დოკუმენტები და ქაღალდები მიიტანოს ლაზარ ჯმუხაძის მაღაზიაში—სომხის ბაზარი საკ. ქარვასლა. **მპოვნელს საჩუქრად მიეცემა 30 მანეთი.**

(1—58—1) ი. გ. აგრიციდისი.

## ღვინით ვაჭრობა

**ხაშმის მევენახე გლეხთა ამხანაგობა**

## გლეხის ნაშიჯი

ყველას ხელ მისაწვდენ ფასებში ტფილისში მიეგზავნება ღვინო ჩვენივე დროგით. კახეთის ქუჩა სახლი, № 1. (6—434—)



ფორმანი—სურდოს წინააღმდეგ!

მეცნიერულად გამოცდილი და ექიმებისაგან არა ერთხელ აღიარებული **მშვენიერ საშვალებად სურდოს წინააღმდეგ!** საზღვარ-გარედ უკვე 3 წელიწადია იხმარება და მოწონებულია. ყოველ წელს ბევრ მილიონ კოლოფს ასაღებენ. ფორმანი მომზადებულია როგორც **ბამბა სურდოს წინააღმდეგ.** ისყიდება ყველა აფთიაქსა და საფთიაქო მაღაზიაში, პატარა კოლოფებში, 25 კაპ. თითო კოლოფი.

(3—№ 8—3) (Метцль и K° 22090)

---

ტფილისი, 16 აპრილი

რამდენისამე დღის წინად ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნეთ ის გარემოება, რომ ხონში მომავალ სამოსწავლო წლის დამდეგს პროგიმნაზია იხსნება. მაშინ ჩვენ განსაკუთრებითი ყურადღება მივაქციეთ ხონელების დაუშრეტელ ენერგიას სასწავლებლების გახსნაში, რადგან პროგიმნაზია თვით ხონელების ინიციატივით იხსნება. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ერთი მხარეა. ნაკლებ საინტერესო არაა იმისი მეორე მხარე.

განზრახული პროგიმნაზია ოფიციალურად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მიერ იხსნება და იგივე სამოსწავლო ოლქი იქნება პროგიმნაზიის ბატონი და პ.ტრონი. ამისდა მიუხედავად სამოსწავლო ოლქი თავის საერთო წყაროებიდან ახალ სასწავლებლის შესანახად ერთს კაპეიკსაც არ დახარჯავს. რაც-კი პროგიმნაზიას დასჭირდება, მხოლოდ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უნდა გაიღონ: ერთი ნაწილი როგორც სწავლის ფული და მეორე ნაწილი როგორც მოგროვილი შემოწირულება. ხონელებმა უნდა დაამზადონ აგრეთვე პროგიმნაზიისთვის შენობა და ყოველივე სასწავლო მოწყობილება. მოკლედ რომ ვთქვა, პროგიმნაზიის შენახვა მატერიალურად ხონელების კისერზე იქნება, ხოლო მოწყობა სწავლის საქმისა კი მთლად კავკასიის სამოსწავლო ოლქის ხელში.

ჩვენს დროში, როდესაც სახალხო განათლების ოფიციალურ ჰპირისუფლებს სულ ერთიან დაეკარგათ ფართო წრეების ნდობა, როდესაც ყოველის მხრიდან სასტიკი და საფუძვლიანი საყვედური ისმის სამოსწავლო მთავრობაზე, როდესაც ხალხი ამაყად და თამამად თხოულობს სკოლის საქმის გადაცემას თვით საზოგადოების ხელში, არ შეიძლება უცნაურად არ გვეჩვენოს ხონის მომავალ პროგიმნაზიის მდგომარეობა მით უმეტეს, რომ თვით ხონელებმა შეჰქმნეს თავის ნებით ასეთი მდგომარეობა. საკვირველია და უცნაური, მაგრამ მაინც უტყუარი ფაქტია, რომ ხონელებმა უარი სთქვეს თითონვე ეწარმოებინათ ის პროგიმნაზია, რომლის მთელი ხარჯი თითონ უნდა გაიღონ; უტყუარი ფაქტია ისიც, რომ ხონელებმა თავის პროგიმნაზიაში სასწავლო საქმის მომწყობად სამოსწავლო ოლქი მოიწოდეს.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, წინად, ხონი საერთოდ საკმაოდ მდიდარია სასწავლებლებით. მაშ. ადამე ხონელებს თვალ-წინ ერთი და ორი მაგალითი არ უძევთ იმისი, რომ საოლქო ადმინისტრაცია მაინც და მაინც ხელში საგოგმანები მომწყობი არაა სწავლის საქმისა. ხონელებმა თავის საკუთარის დაკვირვებით და გამოცდილებით უნდა იცოდნენ, რომ ხალხის განათლების ოფიციალურმა მთავრობამ სკოლა მთლად პოლიტიკას დაუმორჩილა; უნდა იცოდნენ, რომ პოლიტიკურის მოსაზრებით მთავრობამ თითქმის სრულებით დაუკარგა ეხლანდელ სკოლას განათლების კერის ხასიათი და სამაგიეროდ მოხელეების ანუ ჩინოვნიკების გასაწვრთნავ დაწესებულებად აქცია; ხონელებს კარგად უნდა მოეხსენებოდეთ ისიც, რომ კავკასიის ოლქის ყველა სკოლებში ქართველ ბავშვებს თავიდანვე სასტიკად ამახინჯებენ იმით, რომ სწავლას რუსული ენის საშუალებით აწარმოებენ და არა ბავშვების სამშობლო ენაზე. არავისთვის არაა საიდუმლოება და ამიტომ არც ხონელებს გამოეპარებოდათ, რომ ეხლანდელი გიმნაზია, წარყვნილი პოლიტიკით და განზრახ გაუკულმართებული, მოსწავლეებს ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნას არ აძლევს.

ასეთს პირობებში თავის-თავად იბადება საკითხი: მაშ რა მიზეზია, რომ ხონელები მაინც სამოსაწავლო ოლქს იწვევენ თავის გიმნაზიაში სწავლის მომწყობად?

ჩვენ ულრმესის რწმენით, ამ მდგომარეობის ერთად ერთი მიზეზი ისაა, რომ ქართველ საზოგადოებას საერთოდ და კერძოდ ქართველ პედაგოგებს დღემდე ვერ მოუხერხებიათ დაამტკიცონ, რომ მათ მარტოოდენ არსებულის სკოლის კრიტიკა კი არა, ახალის სკოლის შექმნაც შეუძლიათ. დღემდე ჩვენი კრიტიკოსი პედაგოგები მხოლოდ იმ სუსტი მხარეების აღნუსხვით კმაყოფილდებიან, რომელნიც ასე უხვად ახლავან ეხლანდელს საშუალო სკოლას. კრიტიკა კი საკმაოდ სარწმუნო თავდები არაა იმისი, რომ ეს პედაგოგები ახალს რაციონალურს საშუალო სკოლას შექმნიან. კრიტიკის გარდა საჭიროა და ამასთან აუცილებლად საჭიროა სრული და ცხოვრების პირობებთან შეთანხმებული გეგმა ახალის საშუალო სკოლისა. საჭიროა ყოველ მხრივ დამთავრებული და შემუშავებული ტიპი საშუალო სკოლისა, საჭიროა ამ განზრახულ ტიპის სკოლის შედარება ეხლანდელ სკოლასთან. საჭიროა

ამ ტიპის სკოლისთვის გზის გაკაფვა ხალხის შეგნებაში და მის გარშემო ხალხის თანაგრძნობის მოგროვება. „შეჩვეული ჭირი შეუჩვეველ ლხინს სჯობია“, ამბობს ჩვენებური ანდაზა და ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხს უნიადაგო ავანტიურა არც წინად ჰყვარებია და არც ეხლა უყვარს. ისე მსუბუქად და ისე ადვილად, როგორც ეს ბევრსა ჰგონია, ხალხი არასოდეს არ მოეჭიდება ახალს დაწყებულებას. ჯერ უნდა დამტკიცდეს, რომ ეს ახალი დაწყებულება ძველს სჯობია, თორემ უამისოდ ძველი, რაც უნდა ბევრი ნაკლი ჰქონდეს მას, მაინც უფრო მტკიცე იქნება.

მიუხედავად გახშირებულის ლაპარაკისა და წერისა საშუალო სკოლის შესახებ ჩვენს პედაგოგებს დღემდე არც სკოლის ტიპი შეუმუშავებიათ და არც ის დაუმტკიცებიათ, რომ მათ ქართულ ენაზე სწავლების წარმოება შეეძლოთ. მხოლოდ მაშინ, როცა ეს პირობები იქნება ასრულებული ჩვენი პედაგოგებისაგან, აღარ მოხდება ისეთი უცნაურობა, როგორიც ხონში ხდება ეხლა ჩვენ თვალ წინ.

## ბათუმში მუშათა შორის მომხდარ შეტაკების გამო

ჩვენი გაზეთის მკითხველმა უკვე იცის, რომ ბათუმში მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა: გემის გადმოტვირთვის დროს სხვა და სხვა ეროვნების მუშებს შეტაკება მოუვიდათ.

ამის შესახებ ბათუმის გაზეთი „ბათუმ. გოლ.“ შემდეგს ცნობებს გადმოგვცემს: ამ რამდენისამე დღის წინად, ნაშუადღევის სამს საათზე, ჩრდილოეთ საზოგადოების გემის „ქრისტეფორე“-ს მოსვლამდე ნავთ სადგურში შეგროვებულა 200-მდე მუშა, რომელთაგანაც უმრავლესობა სომხები ყოფილან, მაგრამ ერიენ ქართველებიც, რუსებიც, ქართველი-მაჰმადიანებიც და სხვანი, არა უმეტეს 40—50 კაცისა.

„რა წამს გემი ნაპირთან მოვიდა, სომხები მივარდნენ გემს. მივარდნენ სხვებიც. ატყდა ამისთანა შემთხვევებში ჩვეულებრივი აყალ-მაყალი, რომელსაც ერთმანეთის მუშტებითა და ჯოხებით გამასპინძლება მოჰყვა. ამ დროს ორმა ვიღაც მთვრალმა კაცმა ჰაერში სროლა დაიწყო. ხალხი შეჰკრთა, მაგრამ ორიოდე წამის შემდეგ ასტყდა ხშირი სროლა მაუზერის რევოლვერებისა. ბოლოს მოკლული აღმოჩნდა ორი სომეხი, დაჭრილი და დასახიჩრებულიც რამდენიმე. საღამოს რვა საათზე ვიღაც კუთხეში ჩასაფრებულებმა სასიკვდილოდ დასჭრეს ორი ქართველი ა. შენგელია და ლომთათიძე“.

ფაქტიური მხარე ამ სამწუხარო ამბავისა ასეთი ყოფილა. საყურადღებოა ის ცნობებიც, რომელსაც „ბატ. გოლ.“ გვაძლევს იმ მიზეზების შესახებ, რომელსაც შეტაკება გამოუწვევია.

უადგილოდ დარჩენილთა ბიუროს რამდენისამე დღის წინად, ვიდრე ეს შეტაკება მოხდებოდა, როგორც გაზეთი გადმოგვცემს, სანაოსნო საზოგადოების გამგეობისთვის საზოგადოების აგენტის ლებედევის პირით უთხოვნია, რომ საქმე იმისთვის გადაეცათ. მაგრამ სრულიად მოულოდნელად პეტერბურგიდან დეპეშა მოსულა და ამხანაგობის აგენტად ლებედევის ნაცვლად დაუმტკიცებიათ ვიღაც ა—იანცი, რომელსაც გემის გადმოტვირთვისთვის საქმე სულ ზემოდ დასახელებულ სომხებისთვის მიუნდვია. გაზეთი სხვათა შორის, აღნიშნავს იმ გარემოებასაც, რომ სხვა ამხანაგობების გემების გადატვირთ-გადმოტვირთვაზედაც განსაკუთრებით სომხები მუშაობენ. ა, ამ ნიადაგზე აღმოცენებულა ის უთანხმოება, რომელიც ბოლოს ამისთანა საშინელი დრამით დაბოლოვდა.

შემდეგ ორი ქართველი მოუკლავთ, უსაზიზღრეს პროვოკაციად უნდა ჩაითვალოს; იმედია, ქართველი მუშებიც ისე შეხედავენ ამ საქმეს, როგორც პროვოკაციას და ყოველ ღონის-ძიებას მიიღებენ, რომ უთანხმოება მუშებს შორის უფრო ძალიან არ გაიზარდოს და მწვავე ხასიათი არ მიიღოს.

სამწუხაროა, დიდად სამწუხარო, რომ ღარიბ ღატაკი, სხვისაგან გაყვლეფილი ხალხი შეუგნებლობით ერთმანეთს ჟლეტს. ბათუმის დრამა მით უფრო სამწუხაროა, რომ საქმე პირველის შეტაკებით არ გათავებულა და საღამოთი მიპარვით და ზურგს უკანიდან სასიკვდილოდ დაუჭრიათ ორი ახალგაზდა შენგელია და ლომთათიძე. საბედნიეროდ, ქართველი მუშები იმდენად შეგნებულნი არიან, რომ ასეთ პროვოკაციონურ და ყოვლად საზიზღარ საქციელს არ გამოუდგებიან და ს სხლის ღვრას თავშივე შეაჩერებენ. სწორედ ასეც მოხდა. გუშინ მიღებული სააგენტოს დეპეშა გადმოგვცემს, რომ საქმე მორიგებით გათავდაო. მუშებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ და ეხლავე ამოაგდონ შეუგნებელი ელემენტები, რომ შემდეგში არ ერთი ამბავი აღარ განმეორდეს.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**ირკუტსკი.** ხელახალ არჩევის დროს ს. ხ. სათათბიროს წევრად აარჩიეს ბაიკალის ოლქის ადგილობრივ მკვიდრთაგან ბატო ოჩიროვი, პროგრესისტი, ლამაიტი.

**პეტერბურგი.** ცარსკოე სელოში იმპერატორმა და დედოფალმა მიიღეს 25 გლეხი, სათათბიროს წევრი. მიართვეს ადრეს უქვეშევრდომილებით გრძნობების გამოთქმით. ხელმწიფემ მადლობა გადაუხადა და ტკბილად ესაუბრა. შემდეგ გაუმასპინძლდნენ.

შესცვალეს პირვანდელი რედაქცია ვაჭრობის სამინისტროსჭმიერ სათათბიროში შეტანილ კანონ-პროექტისა კვირა უქმე დღეებში დასვენების შესახებ აზრადა აქვთ საზოგადო დაწესებულებას მიანდონ, გამოსცენ ხოლმე სავალდებულო დადგენილებანი დასვენება-მუშაობის შესახებ, იმ პირობით კი, რომ კვირა-უქმეობით სავაჭროებში მუშაობა ხუთ საათს არ აღემატებოდეს.

აგრარულ კომისიის თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიეს შრომის ჯგუფის წევრი ბელიაევი. მიანდეს პრეზიდიუმს, შეადგინოს მუშაობის გეგმა, მოიყვანოს რიგზე სათათბიროს ყველა ფრაქციის აგრარული კანონ-პროექტები, შეადგინოს მცირე კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს მთავრობის მიერ მე-87 მუხლის ძალით შეტანილი კანონ პროექტები.

ცარსკოე სელოში ხელმწიფემ 25 გლეხ დეპუტატს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „გადაეცით თქვენ გამომგზავნელთ ჩემი და დედოფლის მხრივ მადლობა ერთგულობისათვის, რომლითაც ყოველთვის მტკიცე იყო მართლ-მადიდებელი რუსეთი დარწმუნებული იყავით, რომ მე ვიზამ იმას, რაც შემიძლიან და რასაც საჭიროდ დავინახავ თქვენ საკეთილ დღეოდ. იმედი მაქვს, რომ ამას მივაღწევ თქვენთან და სათათბიროს იმ ჩემ სამშობლოს ერთგულ წევრებთან ერთად, რომელნიც ახლა იქ სხედან და კვლავაც იქ იქნებიან. ძლიერ მოხარული ვარ, რომ განახეთ და შემთხვევა მომეცა მემკვიდრეც მეჩვენებინა გადაეცით თქვენ გამომგზავნელთ ჩემი მადლობა იმ გულწრფელ რუსულ გრძნობისათვის, რომელიც თქვენ მე გამომიცხადეთ“.

## მოძრაობა სპარსეთში და ფერეიდანის ქართველობა*).

რევოლუცია სპარსეთში განსაკუთრებულ პირობებში ხდება. იქ მთელი ხალხი თავით-ფეხამდე შეიარაღებულია და რევოლუციონური ანჯუმენები მტკიცედ და მხნედ ამხობენ საზიზღარ წესებს და ამყარებენ ახალს. ძველის რეჟიმის წარმომადგენელნი ძალზე შეაფიქრიანა ხალხის მოძრაობამ. მათ ბევრჯელ მოიწყვეს ხალხთან გამკლავება და მოძრაობის ჩაქრობა, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, ძალა არ შესწევდა არც მომხრენი ჰყავთ, თითო-ოროლას გარდა. სპარსეთის პარლამენტი—მეჯლისი—დღეს თუ არა ხვალ გასწყვეტავს კავშირს წარსულთან და ძველის და მაღალის კულტურის მქონე ხალხი შესძლებს ევროპის ცივილიზაციის სპარსეთის ნიადაგზე გადატანას და ცხოვრების გაუმჯობესებას.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სპარსეთის ფერეიდანის ქართველობა არა თუ მხნედ ჩარეულა განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მეთაურობაც-კი გაუწევია ფერეიდანისა და თითქმის მთელი ისპაჰანის პროვინციის მცხოვრებთათვის. წინად ფერეიდანის ქართველობა მოგერებითი პოლიტიკას მისდევდა, ეხლა კი პირდაპირი იერიშიც მიუტანია ადგილობრივ ბიუროკრატიაზე, რასაც შედეგად მოჰყოლია ისპაჰანის ბრძანებელის, ეხლანდელ შაჰის ბიძის ზელე-სულთანის (ნამესტნიკი) თანამდებობიდან გადაყენება და ისპაჰანიდან გაძევება.

მოგეხსენებათ, სპარსეთში დღემდე სულ სხვა წესია გუბერნატორის ან სხვა რამე თანამდებობის მიცემისა. უფრო ხშირად ეს თანამდებობები ხელში უვარდებათ გაიძვერა და ხალხის სისხლის მწოველ ვაჟბატონებს. გუბერნატორის ადგილის მაძიებელი უმაღლეს მთავრობას აძლევს რამდენისამე ათას მანეთს და ისიც ადგილზე ნიშნავს. ჯამაგირი გუბერნატორს არ ეძლევა და რა თქმა უნდა, ისიც ხალხს ატყავებს. ასევე ჩაუგდია ხელში ფერეიდანის გუბერნატორობა ბახტიარს ტომით, ფათოლა ხანს, მეტ სახელად ზეიღამე სელთენან (ნიშნავს სულთანის ლომს) 1906 წლის გაზაფხულზე. ამ გუბერნატორს (სპარსულად აქიმს) დიდი და აუტანელი შეწუხება მიუყენებია მთელ საგუბერნატოროსთვის. ამასთან ნამესტნიკის-ზელე სულთანისაგან ზურგი გამაგრებული ჰქონია.

ამ გარემოებას ფრთა შეუსხავს ფათოლა ხანისათვის და შესდგომია ხალხის წამებას. სულ უბრალო მიზეზი, სადმე გაგონილი ჭორი საკმაო ყოფილა, რომ მთელი სოფლები გაენადგურებინა. ხშირად გუბერნატორი თვითონ სთხზავდა მიზეზებს ამა თუ იმ სოფლისაგან კერძო პირთა მესახებ და მერე ტყავს აძრობდა. გადასახადს ერთი სამად და ოთხად მეტს აწერდა ხალხს. თუ ვინმე მოკვდებოდა, ნახევარი დარჩენილ საცხოვრებლისა ფათოლა ხანს უნდა წაეღო. დააბრალებდნენ ვინმე შეძლებულ კაცს, შენ ავაზაკობა ჩაგიდენიაო, და ჯარიმად შეაწერდა 500 მანეთს და მეტსაც. ფათოლა ხანს ეჭვი აუღია სიფტიგანის სოფლის უფროს აჯი ასან ალა ხანზე, ვითომ მას ზელე სულთანისთვის საჩივარი უნდა შეეტანოს გუბერნატორზე. დაუპატიმრებია აჯი ასან ალა ხანი და ათი დღის განმავლობაში საშინელი ტანჯვა მიუყენებია. შემდეგ გადაუხდევინებია ათას ორასი თუმანი (სპარსული თუმანი 2 მ. 60 კაპ. უდრის). თოხმანლურს მაჰალში (ფერეიდანის ნაწილია) სპარსელების 31 სოფელი აუკლია და შეუწერია უზომო გადასახადები და ჯარიმები. [illegible] 300 შეიარაღებული ქართველი მუდმივად ჰყავლია და მათის შემწეობით აუკლია ეს სოფლები.

გუბერნატორი ამას არ დაკმაყოფილებულა. იგი გურჯისტანში ასულა და ახლა იქ დაუწყვია თარეში. სოფელს მარტყოფში დარჩენილა ათ დღეს. 700 თუმანი ჯარიმა გამოურთმევია ამ სოფლის მამასახლისების ალი მირზა ხან ონიკაშვილისა და ხოდარამ ხან ხუციშვილისაგან. თვით სოფელ მარტყოფს გადასახადი შეწერილი ჰქონია 400 თუმანი, გუბერნატორს კი 8000 თუმანი, ანუ ჩვენებურ ფულად 17,000 მანეთამდე გადაუხდევინებია. რაღაც დაუბრალებია სოფელ თელავის მცხოვრებთათვის, მისულა, ეგზეკუცია ჩაუყენებია და მთლად გაუნადგურებია სოფელი. სოფელს ვაშლოვანში დაუჭერია აჯი რასულა და აჯი მიროსეინ გოგიჩაშვილები და მათის საგვარეულოსათვის 600 თუმანი გადაუხდევინებია. ეს სულ იმიტომ, რომ თქვენ უბანში ქურთმა მგზავრებმა ჩამოიარეს და კარგი მასპინძლობა არ გაუწიეთო. ასეთ ძალმომრეობას ხალხის მოთმინების ფიალა აუვსია. გუბერნატორს სცოდნია, რომ თარეშს ქართველები არ აპატიებდნენ, ადრე თუ გვიან სამაგიეროს მიუზღავდნენ და ამიტომ ბოლო დროს საჩუქრებს თურმე უგზავნიდა ხანებს (ოთხი სოფელი აჰარია) ალი მირზა ონიკაშვილს და იმის თანაშემწეს ხოდარამ ხუციშვილს, მასიტაშვილებს და სხვებს, რათა მოელბო მათი გული. მაგრამ ხალხი სამაგიეროს გადახდისთვის ემზადებოდა. მარტყოფის მამასახლისები ხოდარამ ხანის ხუციშვილისა და ალი მირზა ხან ონიკაშვილის მეთაურობით მოულაპარაკნიათ გურჯისტანის და საზოგადოდ ფერეიდანის სხვა ხანებს და გადაუწყვეტიათ გუბერნატორის დაპატიმრება და გაძევება. შეუტყობინებიათ სოფლის მეთაურებისათვის და ნიშნულ დროზე გამოცხადება. მართლაც შეიარაღებული მცხოვრებნი გურჯისტანში შეკრებილან. ამ ხალხს გაუძღოლიან ს. მარტყოფიდან ალიმირზა ონიკაშვილის უფროსი ვაჟი—აყოლი ხანი და ხოდარამ ხანი ხუციშვილი, სოფელ აფუსიდან—რეიმ ხანი ჰავჟავაძე, ქვემო მარტყოფიდან—მადსადე ხანი და მირზა ალა ხანი მასიტაშვილები და ჩაუვლიათ ქურთების სოფლებში. იქ ქართველებს შეერთებიან თურქები სოფელ ჩადიგნიდან უფროსის აჰმად ყული ხანის მეთაურობით, გზაზედ სპარსელებიც მიმატებიან და წასულან სოფელ დარანში თავიანთ კეთილის მყოფელ გუბერნატორის დასა-

*) ამ წერილში მოთავსებული ცნობები ამოღებულია ფერეიდანის ოლქის სოფელ მარტყოფის მცხოვრების მაღუსენ ყალაბეგ შვილის წერილიდან, რომელიც ეხლახან მიიღეს ტფილისში ჩამოსულმა სპარსელმა ქართველმა. რედ.

## ფელეტონი

### ინგლისის პარლამენტის ცხოვრებიდან

(დიონეოსი)

(შემდეგი*)

სხდომა დაიწყო. პირველი ნახევარი საათი ნელა მიდის. პალატა შეუდგა რაიმე კერძო კანონ-პროექტის განხილვას. კომმონერები წინადვე მიღებულ პეტიციებს არდგენენ. ხანდახან პალატაში შემოაგორებენ უშველებელ ცილინდრს: ეს არის პეტიცია-მონსტრს, რომელზედაც ასი-ათასობით აქვს ხალხს ხელი მოწერილი. პარლამენტისათვის პეტიციის წარდგენის უფლება ინგლისელებს მოპოვებული აქვთ ძველს დროს და დღეს დღეობით ეს უფლება დამყარებულია არა კანონზე, არამედ საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებულ ჩვეულებაზე. სანამ პეტიციებს არდგენენ, თავმჯდომარეს არაფერი ჯაფა არ ადგია. მაგრამ აი დგება დრო შეკითხვებისა. სამინისტრო ყოველ შეკითხვაზე მესამე მეოთხე დღეს იძლევა პასუხს, და არა ერთის თვის შემდეგ, როგორც რუსეთში. ყოველ სესსიის განმავლობაში სამინისტროს სჭირდება პასუხის გაცემა 2000 შეკითხვაზე, ორთა შუა რიცხვით დღეში 50—60 შეკითხვაზე. ეკითხებიან სამინისტროს სხვა და სხვა საქმეზე. ზოგიერთ შეკითხვას ადგილობრივი ხასიათი აქვს,—მაგალითად, ვინმე ჰკითხულობს, რად არის შოტლანდიის რომელსამე მივარდნილ სოფელში ფოსტა ამა და ამ მხრით მოუწყობელიო, ან რად ჩაიდინა პოლიციელმა დასავლეთ ირლან-დიაში, სადმე სოფელში, ესა და ეს საქმეო (ვსთქვათ გალანძღა ვინმე). სამაგიეროდ, არის ხოლმე ისეთი შეკითხვაც, რომელსაც საყოველთაო მნიშვნელობა აქვს. კომმონერები დიდ მნიშვნელობას აძლევენ მთავრობის შეკითხვის უფლებას და მედგრად იცავენ ამ თავიანთ უფლებას. მინისტრმა 1—2 ს წამში უნდა აგოს პასუხი; მაგრამ ხანდახან შეკითხვა იპყრობს კომმონერების დიდს ყურადღებას და მაშინ მიმდინარე საქმეების გადადების წინადადება შეაქვთ (adjournment of the House). საპარლამენტო წესის თანახმად, „adjournment“-ი, ინუ მიმდინარე საქმეების გადადება, შეიძლება მაშინ, როდესაც ამას მოითხოვს არა ნაკლებ ორმოციის კომმონერისა და როდესაც სპიკერიც აღიარებს თავის მხრით, რომ აღძრულ საკითხს „უდიდესი“ საზოგადო ინტერესი აქვს. მიუდგომელი თავმჯდომარე საკმაოდ სთვლის 40 კომმონერის განცხადებას და თითონ აღარ შედის იმის განხილვაში, რამდენად საყურადღებოა აღძრული საკითხი. ძლიერ იშვიათია ისეთი შემთხვევა, როდესაც კომმონერებს, რომელთა მეოხებითაც მიმდინარე საქმეები გადადებულა, ე. ი. „adjournment“-ი ყოფილა მიღებული, შესძლებიათ თავიანთის რეზოლიუციის (გადაწყვეტილების) გატარება პალატაში. უკანასკნელი მაგალითი 1889 წ. იყო, როდესაც „adjournment“-ს მოჰყვა შინაგან საქმეთა მინისტრის გაკიცხვა იმის გამო, რომ პოლიციამ ვიღაც მის კასსი შეიპყრა ქუჩაში, როგორც როსკიპი, თუმცა საკმაო საბუთი არ ჰქონდა ამისა. როდესაც ყველა შეკითხვაზე პასუხი მიცემულია, სპიკერი თვის მოხელეს უბრძანებს „სადღეო რიგის“ წაკითხვას. საღამოს ხუთის საათიდან შვიდამდის ჩვეულებრივ გამოდიან ყოველ პარტიის უდიდესი ორატორები, big guns, როგორც მათ ეძახიან საპარლამენტო ენაზე. შემდეგ დგება ესრედ წოდებული მკვდარი დრო, როდესაც პალატაში რჩება 20—30 კომმონერი. ეს არის „მაბეზარი“ დრო, „bores“, ისეთის ორატორების დრო, რომელთაც არავითარი ნიჭი არა აქვთ, მაგრამ ძლიერ უყვართ სიტყვების წარმოთქმა. სხვა დროს პარტიის მოთავეთ, ესრედ წოდებულ პიკერებს ასეთი ორატორები „ჯაჭვით ჰყავთ დაბმული“. საღამოს 7 საათიდან 9-სიწ ეს „მაბეზარნი“ აშვებულები არიან. უნდა ნახოთ, რა არ მოაქვს ერთს „მაბეზარს“,—რაღაც ხელ ნაწერები, საბუთები, წიგნები. „მაბეზარი“ ცალიერ პალატის წინაშე ამბობს თავის სიტყვას. მხოლოდ საბრალო სპიკერი არა თუ უსმენს, არამედ იღიმება კიდეც, როდესაც „მაბეზარი“ ჰკუას ძალას ატანს და ოხუნჯობს. სპიკერი მიდის პალატიდან ნახევარის საათით 8 და 9 საათს შუა. თავმჯდომარეს არ შეუძლიან გააწყვეტინოს „მაბეზარას“ მჭერმეტყველობა; მაგრამ პალატა ვერ არის ისე მომთმენი. კომმონერები იცინიან, ხანდახან ისმის მათი „time“ (ე. ი. კმარა) და სხვ. მეოცდაათე წლებში ერთმა „მაბეზარმა“, რომელსაც უშლიდნენ ლაპარაკს, თავმჯდომარეს მიჰმართა დახმარებისათვის:

— მე უფლება მაქვს მოვითხოვო, რომ მომისმინონ,—სთქვა მან.

— არა, სერ, მიუგო სპიკერმა,—თქვენა გაქვთ უფლება ილაპარაკოთ, მაგრამ არც პალატა ჰკარგავს თვის უფლებას გადასწყვიტოს, სურს თუ არა თქვენი მოსმენა.

ეხლა, რასაკვირველია, არც ერთი სპიკერი არ იტყვის ამას. საზოგადოდ, ეხლა პალატა უფრო თავშეკავებულია და თვის უკმაყოფილებას აღარ გამოხატავს ისე, როგორც ამ 20—25 წლის წინად. მაშინ კომმონერები წინააღმდეგობის ნიშნად არა თუ ყვიროდნენ, ჰყეფდნენ, ჰყიოდნენ მაძლებსავით, ბღაოდნენ და ხანდახან ყროყინობდნენ კიდეც. უნდა ვთქვათ, რომ „მაბეზარზე“ არც ეს მოქმედებდა.

— ჯენტლმენებო*)!—სთქვა ერთხელ „მაბეზარმა“,—თუ არ მოგიშლიათ სიტყვის გაწყვეტინება, სულ აღარ გავათავებ.

მუქარამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. 1882 წ. პარლამენტმა შემოიღო კანონად უმნიშვნელო და უსარგებლო ლაპარაკის და კამათის შემოკლება. ეს კანონი შედეგად მოჰყვა იმ შემთხვევას, როდესაც სხდომამ 42 საათს გასტანა და თავმჯდომარე სავარძლიდან არ ამდგარა ამ ხნის განმავლობაში. პირველში „closure“ ის უფლება (ხმის ჩატარება საკითხისათვის, კმარა თუ არა საკითხის შესახებ ლაპარაკი) სპიკერს ეკუთვნოდა და იმაზე იყო დამოკიდებული, ხმა ჩამოეტარებინა კამათის დაბოლოვებისთვის თუ არა; მაგრამ, რადგან ამას შეეძლო პალატის რომელსამე ნაწილში სპიკერისადმი უკმაყოფილების გამოწვევა, ამიტომ ეხლა შემოღებულია, რომ კამათის დაბოლოვების შესახებ ყოველ კომმონერს შეუძლია აღძრას საკითხი. სპიკერი მხოლოდ ხმას ჩამოუტარებს ასეთს წინადადებას, თუ მას მიემხრობა 200 დეპუტატი მაინც.

საღამოს 10 საათია. პალატა ისევ ივსება. ამ დროს ჩვეულებრივ გამოდის ოპპოზიცია და ჰკიცხავს მთავრობას. სამინისტროსაც თავის მხრით გამოჰყავს ერთ-ერთი „დიდი ზარბაზანი“, ე. ი. გამოჩენილი მოღვაწე—სამინისტროს რომელიმე ცნობილი წევრი. პალატის წესისამებრ, სიტყვას ამბობენ მხოლოდ სპიკერისათვის. მას მიმართავს ორატორი და ამიტომ, ადგება თუ არა, ქუდს იხდის. ყოველი დეპუტატი ოფიციალურად ცნობილია როგორც წარმომადგენელი ამა თუ იმ ოლქისა. „ღრმად პატივცემული წარმომადგენელი ტავისტოკისა“ (თუ დეპუტატს საუნივერსიტეტო ხარისხი აქვს რამ), „გულადი წარმომადგენელი კენსინგტონისა (თუ დეპუტატს უმსახურნია ჯარში) და სხვ. მაშინაც კი, როდესაც გონება ადგილს უთმობს ვნებით გატაცებულ გრძნობას, დეპუტატები ჯენტლმენურად კამათობენ და არ ჰკარგავენ ზრდილობას. მხოლოდ იშვიათად, 15—18 წლიწადში ერთხელ, მოხდება ხოლმე, რომ პარლამენტი ბღლურების გროვას ემსგავსება, მაშინ გამეფდება ხოლმე ვნება; სპიკერიც-კი ჰკარგავს სულ მოკლე ხნით თავის ძალას და მაშინ შესაძლებელია ისეთი სანახაობა, როგორც მოხდა 1893 წ. ჰომრულის განხილვის დროს. ჩვეულებრივ-კი თავმჯდომარის ღირსი შენიშვნა ერთბაშად

*) იხ. „ისარი“ № 82.

*) ბატონებო.

პატიმრებლად, ანგარიშის მოსათხოვნელად და შემდეგ გასაძევებლად.

გუბერნატორს გაუგია ეს ამბავი, შეშინებია, აუკრავს თავისი ბარგი ბარხანა და მხლებლებით ისპაჰანში გაქცეულა. შეიარაღებულთა ერთი ნაწილი ონიკაშვილის და ხუციშვილის მეთაურობით გუბერნატორს კვალ და კვალ დასდევნებია ისპაჰანში გუბერნატორი უნახავთ ზელე სულთანის შვილის აქბარ მირზას სახლში, დაუპატიმრებიათ და შემდეგ ისპაჰანის წარმომადგენლებთან ერთად გუბერნატორისთვის ანგარიში მოუთხოვნიათ ქართველებს 8000 თუმნამდე იქვე გადუხდევინებიათ გუბერნატორისთვის და მარტყოფში გაუგზავნიათ მომავალი წლის გადასახადის გასასტუმრებლად. ისპაჰანელების საერთო კრებაზეც გამორკვეულა, რომ გუბერნატორების თავ აშვებულობაში დიდი ბრალი მიუძღოდა სპარსეთის შაჰის ბიძას ოპანის ზელე სულთანს. ისპაჰანისა და გურჯისტანის წარმომადგენლებს მარტის პირველ რიცხვებში გადაუწყვეტიათ, ზელე სულთანის სრულიად გაძევება ისპაჰანიდან და ფერეიდანის გუბერნატორის ფათოლა ხანის დაპატიმრება და საპყრობილეში ჩაგდება. წარმომადგენლებს დეპეშით უცნობებიათ სპარსეთის მეჯლისისათვის ზელე სულთანის გადაყენება და სრულიად გაწვევა ისპაჰანიდან, რაც, როგორც დეპეშებიდან უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, მეჯლისს კიდეც შეუსრულებია.

# ახალი ამბავი

**დამშეულთა დახმარება.** ტფ. ქალაქის თავმა გუშინ წერილი მიიღო დამშეულთა დამხმარებელ მოსკოვის კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ უბანკოვისაგან. ბ-ნი უბანკოვი სწერს: როგორც გავიგეთ, ტფილისში დამშეულ კავკასიელთა დამხმარებელ კომიტეტის შედგენას აპირებთ. მოსკოვის კომიტეტმა გადასწყვიტა შეძლების და გვარი დახმარება გაუწიოს კავკასიელთ, გამართოს უფასო სასადილო და გამოგზავნოს სოფლიდან სოფლამდე მოსიარულე საექიმო რაზმი. ყოველ-დღიურად მოსკოვის კომიტეტმა გადასდო 1000 მანეთი. ბ-ნი უბანკოვი სთხოვს თავ. ჩერქეზიშვილს, აცნობოს სად უფრო გაჭირვებული ხალხი, სად შეძლება საექიმო რაზმები გაიგზავნოს, სად უნდა გაიმართოს სასადილოები და სხვ. უნდა აცნობოს აგრეთვე დამშეულთა დახმარებას დაბრკოლება ხომ არ აღმოჩნდება ადმინისტრაციის მხრივ.

**ბუნების მოყვარულთა საზოგადოება.** 15 აპრილს, ს. გ. ალადაშოვის თავმჯდომარეობით, მოხდა პირველი კრება ტფილისში ახლად დაარსებულ ბუნების მოყვარულთა საზოგადოების დამაარსებელთა. ნ. ვ. ელჩანინოვმა დამსწრეთ გააცნო მიზანი და ისტორია საზოგადოების დაარსებისა. ი. ს. სტანიშევსკიმ აღნიშნა საჭიროება ასეთის საზოგადოებისა, რადგან კავკასიის ბუნება სრულიად შეუსწავლელი და გამოუკვლეველია. კ. ს. დერჟავინმა სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების სახელით მიულოცა საქმის ინიციატორებს საზოგადოების დაარსება და უსურვა წარმატება. დასასრულ მოხდა არჩევნები. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ს. გ. ალადაშოვი, ნ. ვ. ელჩანინოვი, ი. ს. სტანიშევსკი, კ. ს. დერჟავინი, ბ. ა ვასილიევი, გ. გ. ლიბეგოვი, ა. კ. ვერესოვი, ი თ სემენოვი, ნ. კ. გაუსმანი. კანდიდატებად—ვ. რ. შენგერი, ა. გორბაჩოვი, ვ. ნ. კალიშევსკი, ბ-ნი სატუნინი.

**საარჩევნო სიები.** გუბერნატორმა ნება დართო ტფ. ქალაქის გამგეობას 2 კვირით გადიდოს საარჩევნო სიების საბოლოოდ გამოცხადება და ხმოსნების არჩევანი. ამ რიგად, პირველ საარჩევნო უბნისთვის საბოლოოდ შესწორებული საარჩევნო სია გამოქვეყნდება 27 აპრილს, მეორისათვის 3 მაისს და მესამესათვის 10 მაისს. არჩევნები დაინიშნა პირველ საარჩევნო ნაწილში 27 მაისისთვის, მეორეში 3 ივნისისთვის, ხოლო მესამეში 10 ივნისისთვის. არჩევნების გადადება გამოიწვია საბჭოს კომისიის აღმოჩენამ, რომ შედგენილ სიებით ბევრს უფლება არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და უნდა ხელ ახლა შევამოწმოთო. აქამდე სამსავე საარჩევნო ნაწილში შედგენილ სიებია ამომრჩეველი იყო 4000 კაცამდე, ეხლა აქედან ირიცხება 2000 კაცამდე, ასე რომ ქალაქის 250,000 მცხოვრებთა ინტერესების დამცველი ხმოსნები უნდა აირჩიოს 2000 ცენზიანმა კაცმა.

**ფოსტაზე თავდასხმა ბაქოში** ბაქოში შავ-ქალაქში ფოსტის განყოფილებას რამდენიმე კაცი დაეცა. მოჰკლეს ორი სალდათი. ფული ვერ გაიტაცეს. უცნობები მიიმალნენ.

**პროფესიონალური კავშირი.** ტფილისის საკრედიტო, კერძო და საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს, თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შეადგინონ პროფესიონალური კავშირი.

**ტფ. გენ-გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში ს მი წლით იგზავნებიან შულავერში დაპატიმრებულნი დავით, გრიგოლ, თაგორ, გრიგოლ, მოსეს და გევო შარვერდოვები და ირაკლი ზავაროვი. ტფილისის გუბერნიიდან იგზავნება ვასილ ოზიაშვილი.

**მკვლელობები ბათუმში.** ამ ბოლო დროს ბათუმში ძალიან გახშირდა მკვლელობა. 12 აპრილს, ადგილობრივ გაზეთის სიტყვით, დღისით პეტერბურგის ქუჩაზე მოუკლავთ ნავთსადგურის მუშა სამუილ მიქაძე. გაქცეულ მკვლელებს დაედევნა პოლიციელი და ყველანი დაიჭირა. აღმოჩნდნენ: მუშენ ფალიანი და ოსმალეთის ქვეშევრდომნი ორი ძმა ავაქოვები და ოსკანა ავაქოვი. 9 აპრილს რევოლვერით ვე ქუჩაში დაუჭრიათ ალექსანდრე ჩხენკელი, რომელიც 11 აპრილს გარდაცვლილა. რვა აპრილს ღამე გონიის ნაწილში სასიკვდილოდ დაუჭრიათ ერთი მაჰმადიანი.

**კრება.** დღეს, 17 აპრილისითვის, საღამოთი ტფ. საბჭოს დარბაზში დანიშნულია კრება სახელოსნოებში მომუშავეთა სამუშაო დროს განმსაზღვრელ კომისიაში 6 წარმომადგენლის ასარჩევად.

**მუშების გამარჯვება** კრწანისისა და ორთაჭალის ბაღების მუშებმა თავიანთი გაიტანეს და მუშაობა ანაახლეს.

**პოლიტიკური საქმე.** 14 აპრილს, ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა პოლიტიკური საქმე ქრისტეფორე მაჭავარიანისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ქართლში გლეხთა შორის აგიტაციის გაწევა და არსებულ წეს-წყობილების დასამხობად მოწოდება. პალატამ მაჭავარიანს მიუსაჯა $1^1/_2$ წლით ვადით დაპატიმრება.

**სახალხო უნივერსიტეტი.** კვირას ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში ექიმმა ბ-ნ ვ. ღამბაშიძემ წაიკითხა საინტერესო ლექცია „ცხოვრება ბუნებაში“. ლექტორმა მოკლედ გააცნო დამსწრეთ ბუნება, მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრება. ლექციას აუარებელი ხალხი დაესწრო.

**ლექცია** ტფ საკრებულო დარბაზში ბ-ნ ვ. ჩერქეზიშვილმა წერა კითხვის საზოგადოების სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ წაიკითხა ლექცია ამ სათაურით „развитіе положительнаго женскаго пола у русскихъ поэтовъ и романистовъ“. ლექციას ბევრი ხალხი დაესწრო.

კვირას, 15 აპრილს, შესდგა კრება სომეხთა სათავადაზნაურო მრეწველობის საზოგადოების წევრებისა. წესდების დამტკიცების შემდეგ კრებამ აირჩია გამგეობის წევრნი, არჩეულ იქმნენ ქ-ნნი ხატისოვისა, მარტიროსოვისა, ავთანდილოვისა, დოლუხანოვისა, ა. ს. ფირალოვი, გამბაროვი. გამგეობის თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნენ ა. ა. ქალანთარი.

გვთხოვენ დავბეჭდოთ: „გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემომწირველთა სიას, რომ ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს უმუშევართა კავშირს. შემომწირველთა სია: მემკვიდრე ოსიპოვებისა 1 მ., სეილანოვი 1 მ., დ. ავალოვი 40 კ., შათირიშვილი 50 კ., იოს. შანიაშვილი 50 კ., დარიბოვი 50 კ., აბრამა 50 კ., ს. საკოვი 50 კ., ე. გულაზოვი 30 კ., ი. ბედიანიძე 1 მ., ვ. მენტეშაშვილი 30 კ., ლ. შიხიევი 35 კ., მ. გივიშვილი 60 კ., პაშუაშვილი 10 კ., ომიაძე 40 კ., ქორქასე 50 კ., ქავთარაძე 20 კ., მიასოვ 20 კ., თუცუკიძე 20 კ., შალვა 20 კ., იკს 40 კ., „ძმათა შარობა“ 20 კ., გევინდოვი 20 კ., ნერსესოვი 10 კ., იკს 50 კ., სკამის ფეხი 20 კ., შს. 30 კ., ალექსანდრე 10 კ., ძმ. ბალდასაროვები 3 მ., ბ. მარტიროზოვი 1 მ., №№ 1 მ., ამხ. აფრიკიანებისა 1 მ., ჩაჩანიძე და გველესიანი 1 მ., ტოროშანოვი 50 კ., ესტატე სტეფანოვი 20 კ., გიორგი 10 კ., გუდაძე 50 კ., გიგოლ 20 კ., ოსკანოვი 20 კ., ლევან 20 კ., მალხაზოვი 30 კ., №№ 15 კ., იკს 15 კ., ს. ირუმ. 20 კ., არუტინოვ 20 კ., ვარლამ 25 კ., ვ. ესათიაშ 10 კ., ზახარი 5 კ., ზურაბა 50 კ., ვ. მჭედლოვი 50 კ., საგანელოვ 20 კ., შტეინბერგ 50 კ., ბეგიდჟანოვ 20 კ., იკს 50 კ., გრიგოლ 10 კ., ბეტ. 20 კ., ჩარიზას 1 მ., ი. დანდუროვი 30 კ., იკს 50 კ., გალუსტოვი 50 კ., ზენევიჩი 10 კ., ბძენი 10 კ., ს. ტ. 50 კ., ჩიკობავა 20 კ., ი. დანდუოვ 20 კ., ბაგრატ ასატუროვ 50 კ., ე. ასატუროვ 50 კ., ებ. 14 კ., როსტომა 5 კ., იავორსძი 20 კ., ვანო გლაგოვი 20 კ., ს. სოლოლოვი 20 კ., ნ. 20 კ., კ. 20 კ., სამსონ მიკირტუმოვ 1 მ., სიმონ თუშვილი 50 კ. ყასაბი სარქისა 15 ნ. საატსაზოვი 30 კ., გურქა რეშიკი 20 კ., ობოინია 20 კ. ვლა. მიქელაძე 50 კ., ჩააავიო მასტერი 15 კ., ელპიტე 20 კ., ა. ისაევი და ცოცოლაშვილი 1 მ., ტ. ქართველაშვილი 20 კ., ს. ი. 10 კ., ხ. ს. 10 კ., რ. ზარდიაშვილი 50 კ., უსახელო 50 კ., ი. ვოლოზოვი 50 კ., ა. ხუდანიანცი 30 კ., სესეი 50 კ., გაშილოვ 10 კ., ს. იარცხალაძე 25 კ., იოსებ ინჩვილაშვილი 25 კ., გ. პოპოვ 40 კ., გ. 20 კ., ბეჟანოვი 10 კ., სულ 38 მ. 64 კ. შემდეგი იქნება გამოცხადებული სხვა შეგროვილი ფული. გიგო თ—შვილი და ნიკო ა—ფოვი“

15 აპრილს 6 საათზე, დაიკარგა შაქრო ქანანოვის შვილი $4^1/_2$ წლისა, იმ დროს, როდესაც ეზოდან გამოვიდა ქუჩაში სათამაშოდ. მამა სთხოვს ყველას, ვინც კი იცის მისი შვილის ამბავი, შეატყობინოს შემდეგ ადრესზე: **Вера, 2-ой петровскій проходъ, д. Пареянца.**

---

**შეცდომის გასწორება.** წერილში „კიდევ ექიმ ქანანოვის შესახებ“ („ისარი № 81) დაბეჭდილია: „მოწმე ძიძებსა“, უნდა იყოს „მოწმე ძიძებმა“; „მეორე ბავშვი“—უნდა იყოს „მერე ბავშვი“. სულ ბოლოს გამოტოვებულია; „არც ცნობების მიღება და არც მიცემა“. № 83-ში დაბეჭდილია: „ჯამაგირს უწერდნენ“ უნდა იყოს „ჯამაგირს უწერდა“; „არ მოვიდნენ“, უნდა იყოს „არ მოვიდოდნენ“.

„მე-81 ნომერში დაიბეჭდა წერილი—„მენინგიტი კახეთში“. ამ წერილში შემდეგი შეცდომა შეგვეპარვია: ნათქვამია „4-5 დღეში 24 გახდა ავად, რომელთაგანაც 6 უკვე გარდაიცვალა“ და სხვა. უნდა იყოს მხოლოდ: „აქამდე თელავში 24 გამხდარა ავად“.

# ქუთაისის ქრონიკა

შორაპნის მაზრის უფროსმა სთხოვა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, რომ ჭიათურის სტრაჟნიკებს ჯამაგირად თვეში 30 მან. გაუხადოს. საქმე განსახილველად მოხსენდება მრეწველთა კრებას.

ჩვანის რკინის ხიდის გაკეთება მრეწველთა საბჭომ გადასცა ბრიანსკის ქარხანის წარმომადგენელს პეტროვსკის, რომელმაც ხიდის გაკეთებაში უნდა მიიღოს 9500 მანეთი, ხოლო ხიდი მზად უნდა იყოს არა უგვიანეს მიმდინარე წლის ენკენისთვისა. ხიდის გასაკეთებელ ფულს საბჭო ნაწილ-ნაწილად გასცემს. ახალ ხიდამდის საბჭომ მთელი ხიდის შესაკეთებლად გადასდო 1006 მანეთი.

12 აპრილს ღამე თ-დი ალ. დადეშქელიანის სახლში დააპატიმრეს იქ დაბინავებული სვანი, რომელსაც ვითომ განზრახვა ჰქონდა ქუთაისში ცნობილ მოხელის მოკვლა.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტს საჭიროდ უცვნია შენობის გეგმის შესადგენად კონკურსი გამოაცხადოს. იმას, თუ რა თანხა უნდა დაინიშნოს კონკურსის პრემიად, გადასწყვეტს წინამძღოლთა და დეპუტატთა კრება.

არქიელის გორაზე უკანასკნელ ხანებში მეტად გახშირდა ქურდობა. ღამე ისე არ გავა, რომ ვინმე არ გასცარცვონ. თუმცა მოქალაქენი სხვებთან ერთად იხდიან პოლიციის შესანახ გადასახადს, მაგრამ აქ პოლიციელს იშვიათად ნახავთ. ნუ გადაგვახდევინებენ ფულს პოლიციის შესანახად, ამბობს შეწუხებული ხალხი, და ჩვენ თავს ჩვენ თითონ მოვუვლითო.

თედო სახოკიას რწმუნებულს ბ-ნ აბულაძეს შუამდგომლობა აღუძრავს სამოსამართლო პალატის პროკურორის წინაშე, რომ სოხუმის ციხეში დაპატიმრებული სახოკია განთავისუფლონ და თუ საჭირო იქნება, სწრაფად მეტ ფულს შეიტანსო.

სოხუმის ქალაქის თავად ნამყოფს ბ-ნ ტომარას უთხოვნია, რომ ამას წინად სოხუმის ციხეში დაპატიმრებული ვლადიმერ გობეჩია იმის თავმდებობით გაანთავისუფლონ. გობეჩია ავადმყოფი ახალგაზდაა და ციხეში ყოფნა მის ჯანმრთელობაზე უარესად იმოქმედებს, თუ ვერ მოხერხდა მისი განთავისუფლება.

ქუთაისის თეატრის დასის არტისტმა გვარამიამ სთხოვა მრეწველთა საბჭოს მოსკოვში წასასვლელად და იქ ხელოვნების შესასწავლად, შემწეობა აღმოუჩინეთ 3000 მანეთით. საბჭომ შუამდგომლობა არ შეიწყნარა.

მთავრობის მიერ ნება დართულ სესხის განაღდება ქუთ. ქალაქის გამგეობამ ვერ მოახერხა და რადგან ფულის საჭიროება დიდია, გამგეობას განუზრახავს დააგირავოს საავადმყოფოს ასაშენებლად აღებული პროცენტიანი სახელმწიფო ქაღალდები და აღებულის ფულით უსაჭიროესი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს.

# მუშების ცხოვრება

**გაფიცვა ფოთში.** კვირაზე მეტია, რაც 200-მდე მუშა, რომელნიც „სობოროს“ აშენებას ადგიან, გაიფიცნენ. გაფიცვის მიზეზი ადმინისტრაციაა, რომელმაც 9 საათის სამუშაო დღის მაგივრად 10 საათის დაწესება მოინდომა. ასეთმა განზრახვამ, რასაკვირველია, მუშათა შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და მუშები გაიფიცნენ. საგულისხმო აქ ის არის, რომ „ერთად ერთი მუშათა პარტია“ გაფიცულებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს და, წარმოიდგინეთ, გაფიცვის ჩაშლასაც-კი სცდილობენ. ერთ კრებაზე მათი კაცები ამტკიცებდნენ, რომ მუშებმა გაფიცვა მხოლოდ მაშინ უნდა დაიწყონ, როცა ჯიბეში საკმაო ფული აქვთ, უამისოთ, სთქვეს მათ, მუშები გაფიცვის დროს თავს ვერ გამოიკვებენო. ასეთმა ლათაიებმა, რასაკვირველია, „სობოროს“ მუშები ვერ დაარწმუნა, მით უმეტესად მათი დამარცხება მთელი ფოთის მუშების დამარცხებაა. სობოროს ადმინისტრაციას სხვა სამუშაოც აქვს და აქაც მუშები 9 საათს მუშაობენ. თუ ეხლა დამარცხდნენ სობოროს მუშები და 10 საათი იმუშავეს, სხვასაც ეს დღე დაადგება. გაფიცვამ, რაღა ლაპარაკი უნდა, პოლიცია აამოძრავა და ამ დღეებში კიდევაც დაატუსაღა 21 მუშა, რომელნიც შემდეგ განთავისუფლეს.

**ყვირილა.** მომავალ ზაფხულს შავ ქვაზე დიდი მუშაობაა მოსალოდნელი ყვირილაში. ამიტომ შესდგა უადგილოდ დარჩენილთა ბიურო, სადაც ჯერ-ჯერობით 60 კაცამდეა ჩაწერილი. ბიუროს პირველი კრება ჰქონდა 13 აპრილს აირჩიეს გამგეობა და დაავალეს საქმის ტეხნიკურად მოწყობა.

# პროვინციის ცხოვრება

**ჭიათურა.** 5 აპრილს მოხდა ჭიათურის ბანკის წევრთა კრება. ზოგიერთმა განაცხადა, რადგან საკმაო წევრი არ არის, საჭიროა კრება გადაიდოსო. გამგეობის თავმჯდომარემ კიტა აბაშიძემ განაცხადა, რომ ყოველივე ზომა იყო მიღებული წევრთა მოსაწვევად (გაზეთში გამოცხადება, განცხადებების თვალსაჩინო ადგილზე გაკვრა და სხვ.), მაგრამ მეტი წევრი არ მოვიდა. ეს კრება მეორე კრებაა, წესდების თანახმად, რამდენიც წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერად უნდა იყოს ცნობილიო. თუმცა ეს ასეა, გამგეობა თანახმაა და წინააღმდეგი არ არის კრება გადაიდოს. საზოგადოებამ არ მოისურვა კრების გადადება და შეუდგა მიმდინარე საგნების გარჩევას. კრების თავმჯდომარედ თ. დ. დეკანოზის არჩევის შემდეგ, კიტა აბაშიძის წინადადებით, კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ბანკის მოსამსახურე ეზეკია მიქელაძის ხსოვნას.

კ. აბაშიძემ წაიკითხა ვრცელი მოხსენება ბანკის საქმეთა ვითარების შესახებ და აღნიშნა ის მრავალი დამაბრკოლებელი გარემოება, რომელიც განიცადა ბანკმა წარსულ ხანაში: კრიზისი მარგანეცის წარმოებაში, ომიანობის დრო, პოლიტიკური მოძრაობის ხანა. როგორც სჩანს ანგარიშებიდან, დღესდღეობით მარგანეცის საქმეთა აყვავების გამო ბანკის მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა და ბანკის ოპერაციები სრულიად

---

აჩერებს გაცხარებულ ორატორს, რომელიც ვისიმე პიროვნებას შეეხო ან არა საპარლამენტო სიტყვა ან წინადადება წამოსცდა. ორატორმა სიტყვა უნდა დაიბრუნოს, თუ ამას არ იზამს, სპიკერი იმის გვარს დაასახელებს და ორატორი იმწამსვე უნდა დაჯდეს თავის ადგილზე.

გათავდა კამათი. დგება ხმის ჩამოტარების დრო. თავმჯდომარე აცხადებს: „გარეშენი უნდა გავიდნენ“. გარეშე დამსწრე ხალხი გადის პარლამენტიდან. პარლამენტის ყველა კუთხეში გაისმის ელექტრონის ზარის ხმა და სამკითხველოდან, თუთუნის მოსაწევ ოთახიდან, სასადილო ოთახიდან ქშენით მორბიან დეპუტატები. პოლისმენები (პოლიციელები), რომელნიც მორიგეობენ კულუარებში. (სხვა დამცველი წესიერებისა პარლამენტს არა ჰყავს), იძახიან: „ხმის ჩამოტარება“. ყველა ეს გძელდება მხოლოდ ორ წამს, რადგან ნავარაუდევია, რომ ორი წამი სულ კმარა, რომ დეპუტატი, რა კუთხეშიაც უნდა იყოს, სირბილით მოასწრებს დარბაზში შესვლას. თუ დაიგვიანა ამ ორ წამს, კარები დაკეტილი ხვდება კომმონერს და მეორე დღეს გაზეთებში აღნიშნული იქნება, რომ ხმის ჩამოტარების დროს დეპუტატი მისტერ ჯონსი „Shut out“ იყო, ე. ი. კარს უკან დარჩაო. როდესაც დეპუტატები შეიკრიბებიან, მათ უშვებენ პალატის დარბაზიდან ორის კარიდან,—ერთში ვინც „ჰო“-ს ამბობს გადასაწყვეტ საკითხის შესახებ, მეორეში—ვინც „არა“ ს. ამ კარებში გასული კომმონერი გძელ დერეფანში შედის და, გაივლის რა დერეფანს, ისევ დარბაზში ამოჰყოფს თავს. ის, ვინც „ჰო“-ს ამბობს, შემოდის იმ კარით, რომელიც სპიკერის სავარძლის უკან არის, ხოლო „არა“-ს მთქმელი—იმ კარით, რომელიც სპიკერის სავარძლის პირდაპირაა. შემოსავალ კარებთან დგანან პარტიების მიერ დაყენებული დამთვლელნი. ჩვეულებრივ ხმის ჩამოტარებას უნდება არა უმეტეს ათის წამისა. უნდა ნახოთ, რა ხდება, როდესაც რამე საყურადღებო საკითხი სწყდება, ხმის ჩამოტარების შედეგს რომ გამოაცხადებენ. ვინ ტაშს უკრავს, ვინ და ცინცვით ჰყვირის. ხანში შესული, დინჯი ჯენტლმენები ბავშვებსავით აღელვებულნი არიან, ჰყვირიან, მხრებზე ხელს სცემენ ერთმანეთს. მაგრამ თავმჯდომარე იძახის — „წესიერება“-ო და პალატა ისევ ისე წყნარად ზის, როგორც ხმის ჩამოტარებამდის. ხანდახან ორატორი ვერ ლაპარაკობს კარგად, ან თვით საგანი არაფერს არ წარმოადგენს; მოტყუებულნი ამით მთავრობის მომხრენი მიდიან პალატიდან; ზოგნი სამკითხველოში მიდიან, ზოგნი კიდევ თეატრში, წვეულობაზე ან თავიანთ კლუბში. ოპოზიცია, შენიშნავს თუ არა, რომ მთავრობის მომხრენი წავიდ წამოვიდნენ, ერთბაშად ამწვავებს საკითხს და თხოულობს ხმის ჩამოტარებას. თუ მოხდა ხმის ჩამოტარება, სამინისტრო მარცხდება. მართალია, ასეთი დამარცხება არის მხოლოდ „Snath vote“, რომელსაც არ მოჰყვება ხოლმე სამინისტროს გადადგომა, მაგრამ ასეთი დამარცხება მაინც-და-მაინც მეტად უსიამოვნოა მთავრობისათვის. და ამ გვარ დამარცხების თავიდან ასაცილებლად მთავრობის „პიკერს“*) გამოჰყავს ორატორი, რომელსაც შეუძლიან გძლად ლაპარაკი. ამასობაში საჩქაროდ ჰგზავნიან ლონდონის ყველა კუთხეში შიკრიკებს. ნახევარ საათს შემდეგ ნელ-ნელა იკრიბებიან სირბილით ქანცგაწყვეტილი მთავრობის მომხრენი, ზოგს ლუკმა ყელში გაჩხერია, შემოდის და იღეჭება, ზოგი თეატრიდან წამოსულა და ზოგი კიდე ვინ იცის საიდან. მთავრობა გადარჩა; ხვალ ვერ იტყვიან გაზეთები, ოპოზიციამ „დამცირებული მთავრობა დაატყვევაო“.

შუაღამეა. ჩვეულებრივ სხდომა თავდება ამ დროს. ბოქაული იძახის ჩვეულებრივს სიტყვებს: „სახლში ვინ მიდის?“ და კომმონერები, რადიკალები, კონსერვატორები, მუშები, ირლანდიელები,—ყველანი ერთად არეულნი, მხიარულად სტოვებენ პალატას. პალატის გარედ პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, რომელნიც ეს-ეს არის თავგამოდებით ებრძოდნენ ერთმანეთს, მეგობრულად ბაასობენ. ისინი პატივსცემენ თავიანთ საერთო სამშობლოს თავისუფალ და კანონიერ წარმომადგენლებს. პირველი მინისტრი, გენერალ-ატტორნეი**), მუშა-დეპუტატი, ირლანდიელი კომმონერი,—ყველანი ერთმანეთში არეულნი არიან და ბაასობენ. მხოლოდ „პირველი კომმონერი“ არ ურევია არასოდეს მათში. ეს უკანასკნელი ყოველთვის განმარტოვებულია...

ივ. ფ—შვილი.

*) პარტიის მოქმედებათა მეთვალყურე.

**) მთავრობის ვექილია, რომელიც პარლამენტში მინისტრებთან ერთად ზის და იცავს მთავრობის პროექტებს იურიდიულის მხრით.

მტკიცე და სადს ნიადაგზედ არის დაყენებული. ბანკისათვის მეტად ხელსაყრელი ოპერაცია მარგანეცში სესხის გაცემის ოპერაციაა, მაგრამ ბანკი ვერ ახერხებს ფართო ნიადაგზე დააყენოს ეს საქმე, ვინაიდან საკმაო თანხა არა აქვს ამისათვის. ადგილობრივი ბანკები კი (ტფ. საკომერციო ბანკი, აზოვის ბანკი, სამხრეთ-რუსეთის ბანკი) თვით ეწევიან მარგანეცის ოპერაციას და, რასაკვირველია, ერთის მხრით თვით არ არიან დაინტერესებულნი ჭიათურის ბანკს გაუმართონ ხელი; და მეორეს მხრით თვით კლიენტები ამ ბანკებისა, რომელნიც მსხვილ ექსპორტერებისაგან შესდგებიან, დაინტერესებულნი არიან, რომ წვრილ მწარმოებელთ, რომელნიც შეადგენენ ჭიათურის ბანკის კლიენტებს, არ მიეცეთ საშუალება მეტოქეობა გაუწიონ მათ. ამისათვის გამგეობამ და საბჭომ მოსთხოვა კრებას: გაიგზავნოს გამგეობის ან საბჭოს ერთ-ერთი წევრი რუსეთის დიდ ქალაქებში ბანკისათვის კრედიტის მოსაპოვებლად. კრებამ ერთხმად მოიწონა ეს წინადადება. ერთხმადვე მიიღო ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის ჯამიც უდრის 9010 მან. აქედან: ას-ასი მანეთი ჭიათურის დრამატიულის საზოგადოებისათვის, ჭიათურის საქალებო სკოლისათვის და ხონის მამათა გიმნაზიისათვის. ბანკის მოგებიდან 5119 მ. გადადებულია სარეზერვო ვექსილების უზრუნველსაყოფად, ხოლო 350 მანეთამდე შერიცხულია სათადარიგო თანხაში. ბანკის ანგარიშიდან სჩანს, რომ საზოგადო მოგება ბანკისა შეადგენს 75% თავნის ფულისას, ხოლო წმინდა მოგება 25% თავნის ფულისას. გამგეობას იმედი აქვს, თუ საქმის ნორმალური მიმდინარეობა არ შესწყდა რაიმე არა-ჩვეულებრივ მიზეზით, ბანკი ამ წელიწადში კიდევ მეტს მოიგებს. შემდეგ მოხდა არჩევნები გამგეობის თავმჯდომარის კ. აბაშიძის ნაცვლად, რომელსაც უთავდებოდა ვადა სამსახურისა. თავმჯდომარედ ხელ ახლად არჩეულ იქმნა ერთხმად კიტა აბაშიძე, რომელიც დიდი წინააღმდეგი იყო უკენჭოდ არჩევნებისა, მაგრამ საზოგადოებამ არაფრისთვის არ მოისურვა კენჭის ყრა. საბჭოს წევრებად ერთხმადვე არჩეულ იქმნენ ნ. თოხმეზური, ირ. ლეკანოზიშვილი და მ. სიხარულიძე; სარევიზიო კომისიის წევრებად გ. ბერიძე, ფ. დარჩია. ვლ. ჩაჩავა, ვლ. შავლია. ილ. კაკაბაძე.

კრებამ გადასწყვიტა ერთი პრინციპიალური საგანიც. წესდების თანახმად საბჭოსა და გამგეობის კომპეტენციაში შედის მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნა. ჭიათურის მოსამსახურეთა პროფესსიონალურ ბიუროს კი მოუთხოვნია ბანკის გამგეობისათვის, რომ მოსამსახურე მიეღო მათის მითითებით. გამგეობა ამის წინააღმდეგ გამხდარა. საბჭოს მოუწონებია გამგეობის აზრი. თავიანთ გადაწყვეტილებას ესენი იმაზე აფუძნებენ, რომ დღევანდელ ცხოვრების პირობებში ყოვლად შეუძლებელია ისეთს დაწესებულებაში, როგორიც ბანკია, რომლის მრავალი ოპერაცია სრულიად საიდუმლოა, მოწვეულ იქმნეს მოსამსახურე, რომელიც ექვემდებარება გამგეობასა და საბჭოს; ამ შემთხვევაში გამგეობა და საბჭოც უნდა განთავისუფლებულ იქმნენ პასუხის-მგებლობისაგან, თუ ბანკის რაიმე საიდუმლო გამოაშკარავდება. კრებამ ერთხმად მოიწონა ეს აზრი და დაადგინა, რომ მოსამსახურეთა მიღება დათხოვა ბანკის გამგეობისა და საბჭოს საქმეა.

---

**ს. მირტვილი** (სამეგრელო) აქაურ მემამულეებში თვალ-საჩინო ადგილი უჭირავთ აზნ. ელიავებს, რომლებთაც ისარგებლეს რეაქციის გამეფებით და უკანვე დაიბრუნეს გლეხებისაგან ის, რაც მათ ჩამოართვეს ნეტარ ხსენებული თავისუფლების დროს 1905 წ. მესამედის მაგივრად მემამულეებმა გლეხებს კვლავ შემოსავლის ნახევარი მოსთხოვეს, ხოლო უკანასკნელებმა მოპოვებული უფლების შესარჩენად ახალის პირობით არ ინდომეს მიწის დამუშავება და მასთან ერთად ყოველივე კავშირი შესწყვიტეს მემამულეებთან, ამათ იწყინეს ასეთი „თავხედობა" გლეხებისა და მოსარჯულებლად მიმართეს მაზრის უფროსს პანაფიდინს, რომელმაც, რასაკვირველია, უყურადღებოდ არ დასტოვა მემამულეთა გოდება და ესტუმრა შესაფერის ამალით ჩვენს სოფელს. პირველადვე დაატუსაღა გლეხი პახვა გოლდავა, რომელსაც გლეხთა გაფიცვის მეთაურობას აბრალებდნენ, შემდეგ დაიბარა ხალხი და უბრძანა დაესახელებინათ ის კაცები, რომელნიც მეთაურობდნენ. გლეხებმა გულ-ახდილად უთხრეს მაზრის უფროსს, რომ მიწის სანახევროდ აღება ჩვენთვის საზარალოა, ამიტომ ვერ ვიღებთ და ამ საქმეში ჩვენ მეთაურები არა გვყავნანო. ამის შემდეგ გალდავა გაანთავისუფლეს და მემამულენი პირში ჩალა გამოვლებულნი დარჩნენ, თუმცა მას აქეთ მიზეზს ეძებდნენ, რომ გლეხებისათვის შარი მოედოთ რამე. მიზეზიც მალე იპოვნეს—სიმინდის მოსვლის დროს ერთმა თუ ორმა კაცმა მემამულის დაუკითხავად სიმინდი მოსჭრა. მით ისარგებლეს და ასტეხეს განგაში—ბოქაულს შეატყობინეს, გლეხებმა ყანები გაგვიჩეხესო და გვიშველეთო. ბოქაულმა, რასაკვირველია, ყურადღება მიაქცია ამ საქმეს, მოვიდა ჩვენს სოფელში, შეჰკრიბა ხალხი და კვლავ მოსთხოვა მეთაურთა გაცემა. როცა ხალხმა განაცხადა, რომ იგი არაფერშია დანაშაული, განრისხებულმა ბოქაულმა რამდენიმე კაცი დაატუსაღა და ორი კვირის შემდეგ გაანთავისუფლა.

ეხლაცა სცდილობენ მემამულენი ბოქაულის დახმარებით, აიძულონ გლეხები მათი მამული დაიმუშაონ. ბოქაული, რასაკვირველია, ყოველთვის მზად არის შეასრულოს მემამულეთა სურვილი. დაიბარა გლეხები და მრისხანედ აუწყა, იმას არა კმაყოფილდებით, რომ თითონ არ მუშაობთ მემამულეთა მიწაზე და სხვასაც უშლით მუშაობას. იმის სიტყვებიდან ის გამოდის, ვითომ გლეხებს აეკრძალოთ მამულის დამუშავება ანტონ ხაჟუმიასთვის. საქმე ასე გამოირკვა: დასახელებული გლეხი ნესტორ ელიავას მახლობელი ყოფილა და როცა მისთვის ელიავას შეუძლევია თავისი ადგილი დასამუშავებლად, უარი ვერ გაუბედნია და უთქვამს, გლეხები მიშლიანო. აი იმისთვის შესძრეს მემამულეებმა ქვეყანა, ბოქაულს შეაყრევინეს ხალხი, რომელსაც მრავალი მუქარა და უშვერი სიტყვა გააგონეს და შემდეგ დაითხოვეს.

**ვ. ს. ნ.**

## ანნა ჩაჩიბაია

**(ნეკროლოგი)**

ჩვენ შრომელ ქალთა ჯგუფს მოაკლდა ერთი საუკეთესო ამხანაგი ანიკო ჩაჩიბაია. ამ თორმეტი წლის წინად, როდესაც ჩვენ ქალაქს ჰქონდა მხოლოდ ოთხი სასწავლებელი, ახლად სწავლა დამთავრებულ ანიკოს მისცეს მასწავლებლობის ადგილი და მას აქეთ მან ისე შეითვისა და შეიყვარა სკოლა, რომ მოშორება ნამდვილ სიკვდილად მიაჩნდა. ექვსი კვირის წინად, სწორედ იმ დღეს, როდესაც მან მოაწერა ხელი თხოვნას, რომ ავადმყოფობის გამო განთავისუფლებინათ მასწავლებლობიდან, მე მომიხდა მისი ნახვა და ცრემლ-მორეულმა მითხრა: ჩემი სიკვდილი სწორედ დღეს არის, მხოლოდ ახლა ვიგრძენ, რომ ჩემი სკოლა ყველაზე მეტად მყვარებია. მთელი ოჯახის შემნახველს, მაინც ყოველ წამს ახსოვდა თავისი საყვარელი სკოლა: გაფაციცებით თვალს ადევნებდა სკოლისთვის გამოსადეგ წიგნებს და ზრუნავდა სწავლის საუკეთესო დაყენებაზე,

ყველა კეთილ საქმეებში განსვენებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა: სანამ ჯანმრთელობა ნებას აძლევდა, ის საკვირაო სკოლაში მასწავლებლობდა, სახალხო თეატრს გულ-მოდგინედ ემსახურებოდა, (ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრში თითქმის დაარსებიდანვე იღებდა მონაწილეობას) ერთ დროს კიდეც სცდილობდა ვერაზე დაეარსებინა ქართული სახალხო თეატრი. ყაზიბეგის ქალთა სკოლის დაარსებაში შველოდა თავის გამჭრიახი გონებით და გამოცდილებით და ბევრ სხვა საქმეშიაც იღებდა მონაწილეობას.

მისმა სუსტმა აგებულებამ ვერ აიტანა მასწავლებლობის მძიმე ტვირთი და ულმობელმა სენმა, ჭლექმა, გამოგვაცალა ხელიდან ჯერ კიდევ სულ ახალგაზდა მუშაკი ქალი. განსვენებული ამ წუთი-სოფელს განშორდა 14 აპრილს. **ან. წ.**

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით შემდეგი გამოვაცხადო: ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო ვერ დავესწარი იმ კრებებს, რომელზედაც ქართველი სტუდენტები ბ-ნ ხახანაშვილის პოლიციისადმი დამოკიდებულებას არჩევდნენ და ამიტომ თავის დროზედ ვერ მოვაწერე ხელი რეზოლიუციას. რადგან არც ბ-ნი ხახანაშვილი და არც მისი მომხრენი უარს არ ჰყოფენ იმ ფაქტს, რომ ბ-ნი ხახანაშვილი ქართულ წერილებს უთარგმნიდა პროკურორს და ჟანდარმებს და ამ თარგმნაში იღებდა ფულს, გთხოვთ ჩემი სახელიც მიუმატოთ იმ რეზოლიუციას, რომელიც ჰკიცხავს ბ-ნ ხახანაშვილის მოქმედებას. ამასთან არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ არავითარ პარტიულ მოსაზრებას არა ჰქვს კავშირი ბ-ნ ხახანაშვილის წინააღმდეგ გალაშქრებასთან. რეზოლიუციაზედ ხელი უწერიათ სხვა და სხვა პარტიის წევრებს და აგრეთვე უპარტიოებსაც. **შ. ნათაძე.**

P. S. გთხოვთ ჩვენი გვარები მიუმატოთ ზემოხსენებულ რეზოლიუციას: ვასილ ხიდირბეგიშვილი, ბორის სემენენკო, მიხეილ ფორაქაშვილი, ნოდარ ჯანდიერი, კოლა გაბაშვილი, მიხეილ ასათიანი, ე. ფხაკაძე, ნ. კალანდარიშვილი.

---

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 აპრილი.

**ოდესსა.** გენერალ-გუბერნატორმა გამოსცა მოწოდება ნავთსადგურის მუშების მიმართ. გენერალ-გუბერნატორი წინადადებას აძლევს მუშებს, გონს მოვიდნენ, თორემ გაფრთხილებთ, რომ ყოველგვარი ლტოლვილება წეს-რიგის დასარღვევად უკიდურესიზომებით იქმნება ჩაქრობილიო.

**რეველი.** პალატა 30 კაცის საქმის გარჩევას შეუდგა. მათ ჰბრალდებათ არსებულ წეს წყობილების დაქცევის სურვილი და სახელმწიფო დაწესებულებათა და მამულ-ქარხნებზე თავ-დასხმა.

**კორსუნი.** როცა მაზრის უფროსი შემიაკინი სამხედრო საკრებულოში შედიოდა, ვიღაცამ ბრაუნინგი სამჯერ ესროლა. მიუხედავად მძიმე ჭრილობისა შემიაკინმა მსროლელი დაიჭირა. რომელიც საბეითლო ინსტიტუტის სტუდენტად ნამყოფი რეპინი აღმოჩნდა. შემიაკინის მორჩენის იმედი არა აქვთ.

**ლაზინსკაია.** გროზნოში თავისს სახლში მოჰკლეს ექიმი მარტინოვი და მისი ცოლი.

**ლიბავა.** პლუტინის ქარხნის მახლობლად მოჰკლეს ერთი მუშა.

**ბენდერი.** ორმა უცნობმა რუსთა ხალხის კავშირის მდივანს სროლა აუტეხა. მოჰკლეს შემთხვევით გამვლელი და დასჭრეს სამი, მათ რიცხვში ერთი პოლიციელი.

**ლონდონი** სანტა ლიუჩიას კუნძულზე დიდი არეულობა მოხდა აჯანყებულთ დუქნები გაძარცვეს, შაქრის ლერწმის საწყობებს ცეცხლი წაუკიდეს და რამდენიმე ქარხანაც დაანგრიეს. პოლიციამ იარაღი იხმარა. მოკლულია 4 და დაჭრილია 22. არეულობა კლებულობს.

**სოსნოვიცი.** პეტროკოვსკის გენერალ-გუბერნატორის განკარგულება რუსულ ენის სწავლების შესახებ გამოიწვია სახ. სკოლების მოსწავლეთა მშობლების კრების დადგენილებამ. მშობლებს უნდოდათ, სოსნოვიცის სახალხო სკოლებიდან რუსული ენა სრულებით გაედევნათ. ამ აზრით მასწავლებლებს ძალას ატანდნენ და თითქმის მოკვლასაც ემუქრებოდნენ.

**სიმფეროპოლი.** თათრის აჯიბილაი მევლიუტ-ოღლის სახლში აღმოაჩინეს რევოლიუციონერების სტამბა. ერთი გლეხი და ერთი გლეხის ქალი დაიჭირეს.

**გურიევი.** ადგილობრივ საპატიმროდან ოთხი ტუსაღი გაიპარა.

**ტოკიო.** როგორც სეულიდან იუწყებიან, კორეიაში დაუპატიმრებიათ საერო განათლების მინისტრის ამხანაგი შინკიმოკი. მას მინისტრთა წინააღმდეგ შეთქმულობაში მონაწილეობის მიღებას აბრალებენ. შეთქმულობის მიზეზი მინისტრთა მიერ კორეს პროტექტორატის ტრაქტატზე ხელის მოწერაა.

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტროში დედათა გიმნაზიის ახალ წესდების პროექტს ადგენენ.

**პეტერბურგი.** 14 აპრილს სამხედრო-სამკურნალო აკადემიის კონფერენციას სამხედრო მინისტრიც დაესწრო. მინისტრმა ნება დართო ხელ-ახლა გადასინჯონ 39 გამორიცხულ სტუდენტის საქმე. აკადემიის უფროსმა დანილევსკიმ სამსახურიდან გასვლის ქაღალდი წარადგინა.

**პარიჟი.** 2000 მზარეული და მათი თანაშემწე გაიფიცა. კლემანსომ გაფიცულ მეპურეების დეპუტაცია მიიღო და უსაყვედურა, რომ ზოგიერთი მეპურეები ქუჩაში უწესოებას ახდენდნენო. მრცხვენია, მაგრამ, იძულებული ვარ ამოდენა ჯარისკაცი ქუჩაში დავაყენო და წესიერება დავიცვაო. მეპურეებმა კლემანსოს თავიანთი მოთხოვნილებანი ჩამოუთვალეს.

**ათინა.** მაკედონიაში მორიგავონის მახლობლად თათრის ჯარის და აჯანყებულთა შორის ძლიერი შეტაკება მოხდა. აჯანყებულთა მეთაური და შვიდი აჯანყებულთაგანი მოკლულია, სხვები გაიქცნენ. თათრის ჯარს ოცი კაცი მოუკლეს.

**ბაქო.** ხუთ ს ათს ზოგიერთ გემზე ყველა მოსამსახურე გამოცხადდა, ზოგიერთს მარტო დაბალი კომანდა მოვიდა. რამდენიმე გემი ასტრახანისაკენ გაემგზავრა.

**ოდესსა.** დუნინის აგარაკში აღმოაჩინეს 16 ყუმბარა, თოფ-წამალი, ვერცხლის წყალი და სხვა ასაფეთქებელი მასალა.

**პეტერბურგი.** ერთი წლით გამოაცხადეს გაძლიერებულ დაცვის წესები ბესარაბიის გუბ. ხოტინის მაზრაში და ორლოვსკის გუბერნიის ქალ. ბრინსკში.

**კატანცარო.** დილის 9 საათზე მიწა საგრძნობლად იძრა.

**ვილნო.** მდინარე დვინა ნაპირიდან გადავიდა. წყალმა ქალ. დისნის ერთი მესამედი დაფარა. ხალხი ათასობით დაზარალდა.

**ორიოლი.** საღამოს 10 საათზე 6 პოლიტიკური ტუსაღი ციხიდან გაიპარა. მათ რკინის ხარიხა გადაეხერხათ. ცხენოსანმა დარაჯებმა გაქცეულთ სროლა აუტეხეს. მათ სროლითვე უპასუხეს. არავინ არ დაშავებულა.

**ბაქო.** გემის პატრონთა და ექსპორტერთა თათბირზე გადაწყვიტეს, გემის უფროსებს თვეში 25 მანეთი მოუმატონ თითონ და მათ თანაშემწეთ ოც-ოცი მანეთი. ახლა გაფიცვის გასაგრძელებლად ეკონომიური მიზეზი აღარ არის და ამ დღეებში კიდეც უნდა გათავდეს. ჯერ-ჯერობით 16 ნავთა-ჩასასხამი გემი მუშაობს, მათი საერთო წყალ-წყვა 1,200,000 ფუთის უდრის.

**ხარკოვი.** მესტამბეთა და ლიტოგრაფთა კავშირმა „პეჭდვითი სიტყვის მუშათა საპროფესიონალო საზოგადოებასთან ერთად მომრიგებელი კამერა დაარსა, რომელმაც უნდა გაარჩიოს მუშათა და პატრონთა მიერ ურთი-ერთ შორის უკმაყოფილება.

**პერიასლავლი.** დნეპრი ამ ზომამდე ჯერ არ ადიდებულა. სოფ. ანდრუში წყალმა დაფარა.

**სიმფეროპოლი.** პირველ საპოლიციო ნაწილში გასკდა და აფეთქდა ყუმბარა, რომელიც ამას წინად იპოვნეს და პოლიციაში ინახავდნენ. მძიმედ დაიჭრა ინგუში, ორი გადამწერი, პოლიციელი და «რუსის ხალხის კავშირის წევრი კანაკი. ეს უკანასკნელი მოკვდა.

**ჩერკასი.** გრაფ. ბობრინსკის ეკონომია სოფ. ვლადიმირკაში 12 შეიარაღებული კაცი დაეცა, 3000 მანეთი გაიტაცა და მიიმალა.

**რიგა.** ველმირსკის მაზრაში მეემუიჟის მოურავს თავდაესხნენ ნიღაბ აფარებული კაცები, მოურავი გაძარცვეს, მერე მოჰკლეს და მიიმალნენ.

**მინსკი.** გამოკრულია გუბერნატორის განცხადება: ყოველივე უწესოება ჩაქრობილი იქმნება, «პოგრომის» მოსახდენად ნიადაგი არ არისო.

**პოლტავა.** გუბერნატორმა გამოაცხადა: «პოგრომის» მოლოდინი სიცრუეა. ყოველივე უწესოება ძალით იქმნება ჩაქრობილიო.

---

რედაქტორ-გამომცემელი
**ივ. ი. მჭედლიშვილი**


# განცხადებანი

## ქუთაისში
## კიწმარიშვილის და ამხ.
**თესლეულობის კანტორამ**
მიიღო დიდ-ძალი იონჯის, კოინდრის, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბჟოლის და ყოველგვარ ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობა. პრეისკურანტები ყველას უფასოდ. (30—ფ.—24)

**გამოვიდა და დარიგდა გასაყიდად**
ახალი ქართული წიგნი
**ცოდნა და რევოლიუცია**
გადმოკეთებული მთაგორელისმიერ, გამოცემა „გუთნისა"; ფასი 7 კაპეიკი. (5—უ—4)



კომისიონერი მიწათ-მოქმედების და ახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი
## მ. ე. ფრიდონოვი
**ტფილისი, სერგიევის ქუჩა**, № 11.
აწვდის მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს:
შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს", საბერველებს, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.
შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ **„სკრასთან"**. ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნებათ. განყოფილება **ქუთაისში „კოლხიდასთან"**. (50—751—33

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1890 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
[illegible]
ექიმები:
**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ც. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.
**ი. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**გ. ი. გძელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. შჩერბინინა** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**
(150—ხალ.—64

პირველ აპრილიდან ტფილისში გაიხსნა
ფეხსაცმელების სახელოსნო
## „იმედი"
მიხეილის ქ., № 55, სახ. სლივიცკისა.
სახელოსნოში მზადდება: შევროვისა, ხრომისა და სხვა ძვირფას ტყავეულობის ფეხსაცმელები ქალებისა და ვაჟებისათვის. აგრეთვე მზადდება წუღები, მესტები, სხვა და სხვა შავი საქონელი და ზაფხულისათვის საუკეთესო პარუსინების სხვა და სხვა ფერის ფეხსაცმელები. მსურველთ ყველა ზემოხსენებული საქონელი ხელმისაწვდენ ფასებში დაეთმობათ. სახელოსნო ყველა საქმეებს ასრულებს პირიანად და სუფთად. (უ)

## შემთხვევით
მალიან იაფად
## იყიდება
სხვა და სხვა ფორმის ძეგლები და სასაფლაოს ქვები. ჩვეულებრივზე 50% ნაკლებად. სახელოსნო ს. რიჩჩისა, მიხაილოვის ქუჩა, ს ხლი № 127. (10—ხალ.—3)

**წერა-კითხვის საზოგადოების**
წიგნის მაღაზიაში
**ი ყ ი დ ე ბ ა**
დამშეულ მეგრელთა სას. რგებლოდ
**„НЕТРОНУТЫЙ УГОЛОКЪ"**
**Грузинскіе разсказы**
**Д. Ведребисели** (Д- К. Маліевой)
ფასი **ერთი** მანეთი
(10—6.—7)

## ნამდვილი კახური ღვინო
ТОВАРИЩЕСТВО КАХЕТИНСКИХЪ ВИНОГРАДАРЕЙ
„Дзмоба" „ძმობა"
ТЕЛЕФОНЪ № 1036.
въ ТИФЛИСѢ
Головинскій проспектъ
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი (100—51)


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კაკაბაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.